შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

12.08.2018 წ.

კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება

წარმოდგენილია ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლება ქუჩა III, #11 (ს.კ. 01.19.36.002.046) მრავალბინიანი კორპუსის, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები. შენობა 11 სართულიანია 1 მიწისქვეშა და 10 მიწისზედა სართულით. კონსტრუქციული პროექტი მომზადებულია შპს 'პროგრესი'-ს მიერ 2018 წელს

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა მაქსიმალური ზომებით ღერძებში: 22.30 X 17.61 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=3.3 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=6.0 მ;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგმ/მ^2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგმ/მ^2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

ნაგებობის დაფუძნება გადაწყვეტილია საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის მეშვეობით, ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა თიხნარ გრუნტში არის R$_0$=2.2კგ/სმ^2. გრუნტის კედლების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს შენობის პერიმეტრზე გრუნტის უკუჩაყრა და მძლავრად დატკეპნა სრულ გამყარებამდე, რათა მოხდეს შენობის დაფიქსირება გრუნტში.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გრუნტის გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია უნდა გაეცნოს გეოლოგიურ დასკვნას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. უნდა გატარებულ იქნას შესაბამისი ღონისძიებები და სხვადასხვა დანამატების მეშვეობით მიიღწეს არანაკლებ W8 ეკვივალენტური წყალშეუღწევობის მარკა საძირკვლების და მიწასთან შეხების ზონაში მყოფი კონსტრუქციებისათვის ან/და მოეწყოს ეკვივალენტური იზოლაცია (ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა).

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

საძიკვლის ფილა: 900მმ;
სვეტები: 600X600მმ; 500X500მმ; 400X400მმ;
მონოლითური კედლები: 200მმ; 250მმ;
კიბის პანდუსი: 160მმ;
გადახურვის ფილები: 180მმ;

რიგელები: 500X500მმ; 500X400მმ;

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) პნ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია''
2) პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა''
3) პნ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები''
4) პნ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები''
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

<u>რეკომენდაციები:</u>

1. სვეტებში არმატურის ღეროების გადაბმა განხორციელდეს პირგადადებით შედუღების გარეშე: პირგადადების სიგრძე გაჭიმულ ზონაში - **L=60Ø;** შეკუმშულ ზონაში - **L=40Ø;**
2. კედლების შევსება განხორციელდეს II კატეგორიის ბლოკებით, მოცულობითი წონით არაუმეტეს - 800კგ/მ^3.
3. წყობა ყველგან უნდა დაუკავშირდეს არმირებით მზიდ კონსტრუქციას ყოველ III რიგში (600-700მმ). თუ ბლოკის წყობის სიმაღლის და სიგანის ფარდობა (H/W) აღემატება 12-ს აუცილებელია შუალედური სარტყლის მოწყობა ბლოკის წყობის სიგანის ფარგლებში.

<u>დასკვნა:</u>

საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანაგრიშო მოდელი და მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ დონეზე შესაბამისი დეტალიზაციით და ითვალისწინებს კონსტრუქციულ ანგარიშში გათვალისწინებულ თავისებურებებს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს კონსრტუქციული პროექტი აბსოლუტურად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისათვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ“-ის
მთ. კონსტრუქტორი/მმართველი პარტნიორი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი

ვაჟა-ფშაველას გამზ#16 IIსართ ტელ: 2371009 ს/კ: 404870724

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000714

This is to certify that Mr./Ms. David
Name, Surname
Gigineishvili
was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006
completed the requirements of Faculty of
Civil Engineering
Bachelor's Degree of the University
with major in Industrial and Civil Engineering
By the decision of the State Qualification Commission September
Month, Day, Year
18, 2006. Mr. David Gigineishvili
Name, Surname
was awarded the Academic Degree of
Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 05752

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000714

ძალუვა დავით გიგინეიშვილს
მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006
წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო
ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სრული კურსი საშრეწყვილო და სამოქალაქო
მშენებლობის
სპეციალობით
საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9
(წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით
დავით გიგინეიშვილს მიენიჭა
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის
კვალიფიკაცია

ბ.ა.

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 05752





C V

სახელი გვარი:	**დავით გიგინეიშვილი**
პირადი მონაცემები:	მოქალაქეობა: საქართველოს დაბადების თარიღი: **26 ოქტომბერი 1984** ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ერთი შვილი
მისამართი:	თბილისი, ნუცუბიძის პლატო IIმ/რ, IIკვ, 5კ, ბ-10 ტელ: (+995 32) 299-10-33 (სამსახური) მობ: (+995 599) 55-12-85 (მობ.) E-mail: gigineishvili.david@gmail.com
განათლება:	**2009 -** დან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი. **2006 - 2008:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სამშენებლო ფაკულტეტის მაგისტრატურა, **წარჩინებით.** **2002 - 2006:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატი, **წარჩინებით.** **1991 - 2002:** ქ.თბილისის 170-ე საშუალო სკოლა.
ჯილდოები / სერტიფიკატები /პატენტები:	• 2008 ივნისი 76-ე სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ღია სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია I ადგილი. • 2008 თებერვალი ქ. კიევში სემინარი "შენობა ნაგებობების ანგარიშისა და პროექტირების ინფორმაციული ტექნოლოგიები «პკ მონომახის» გამოყენებით", სერტიფიკატი. • 2006 მაისი 74-ე სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ღია სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია II ადგილი • 2006 მარტი ქ. კიევში სემინარი "შენობა ნაგებობების ანგარიშისა და პროექტირების ინფორმაციული ტექნოლოგიები «პკ ლირის» გამოყენებით", სერტიფიკატი. • 2006 თებერვალი ქ.თბილისი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო ტრენინგი "ადამიანის უფლებები" სერტიფიკატი. • 2005 ივნისი 73-ე სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ღია სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია II ადგილი • 2005 მაისი პარტნიორები – საქართველოს ტრენინგი "ახალგაზრდა ტრენერების მომზადება", სერტიფიკატი. • 2004 მარტი 72-ე სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ღია სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია III ადგილი. • პატენტი ტექნიკურ გამოგონებაზე (P200930) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი, 2000წ.

სამუშაო გამოცდილება:	2016 წლიდან დღემდე შპს „პროგრესი“-ს **მმართველი პარტნიორი.** 2016 წლიდან დღემდე შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის **მთავარი კონსტრუქტორი**. 2013 – 2016 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის **დეპარტამენტის უფროსი**. 2010 – 2013 შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“ თანა-დამფუძნებელი, **დირექტორი**. 2006 – 2013 შ.პ.ს. „პროგრესი“, თანა-დამფუძნებელი, **მთავარი ინჟინერი**. 2006 შ.პ.ს. „ნოლა“ დამპროექტებელი. 2003 – 2005 შ.პ.ს „კონექსი“ ინჟინერ – კონსტრუქტორი.
შესრულებული საპროექტო, საზედამხედველო, სამშენებლო სამუშაოები:	• უკრაინის საელჩო საქართველოში. (კონსტრუქციული პროექტი) • დ. გურამიშვილის გამზირი №12ა საზოგადოებრივი საცხოვრებელი სახლი. (კონსტრუქციული პროექტი) • თავდაცვის სამინისტროს ქ.გორის ქვეითთა ბრიგადის სამხედრო ბაზის საცხოვრებელი სახლები. (კონსტრუქციული პროექტი) • გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის საჯარო სკოლა. (კონსტრუქციული პროექტი) • დაბა ბაკურიანში, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი "ბაკურიანი პლაზა". (კონსტრუქციული პროექტი) • სამედიცინო ცენტრი დიდ დიღომში. (კონსტრუქციული პროექტი) • მრავალფუნქციური შენობა მგალობლიშვილის ქ. №7-ში. (კონსტრუქციული პროექტი) • წმინდა ანასა და იოაკიმის სახელობის სამედიცინო ცენტრი. (კონსტრუქციული პროექტი) • სოფელ დიღომში თრელების მთის მიმდებარედ ზ. მილაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საყრდენი კედელი. (კონსტრუქციული პროექტი) • ი. ჭავჭავაძის გამზ. №7-ში არსებული შენობის მანსარდის პროექტი. (კონსტრუქციული პროექტი) • პროექტი “არეა 80 მუდმივი საცხოვრებელი” ნაგებობები. (კონსტრუქციული პროექტი). • სასმელი წყლის რეზერვუარი სალიბაურში, ბათუმი. (რეზერვუარის კონსტრუქციების ანგარიში). • წითელი პარტიზანების ქუჩაზე მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება გაძლიერების პროექტი, ქ. იალტა, უკრაინა. • “აფთაუნ თბილისი” - პროექტის ფარგლებში 2 მაღლივი შენობის (ცათამბჯენის) Tower-1, Tower-2 კონსტრუქციული პროექტი. • საქართველოს კათალიკოს – პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ს რეზიდენცია ქ. ზუგდიდში, კონსტრუქციული პროექტი. • ქ. ოზურგეთში იუსტიციის სახლი, კონსტრუქციული პროექტი, ზედამხედველობა • ქ. ამბროლაურში საჭიდაო დარბაზის

	ლითონკონსტრუქციების (წამწეების) ანგარიში-დაპროექტება. • მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გოგებაშვილის II-10/12, კონსტრუქციული პროექტი • რკინიგზის "ბორჯომის" სადგურის და ე.წ. "გადასასვლელი ხიდის" მიმდებარედ სავაჭრო ცენტრი. კონსტრუქციული პროექტი. • შავი ზღვის სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი სასტუმრო "ჰილტონი" ქ. ბათუმში, კონსტრუქციული პროექტი, ზედამხედველობა. • ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე №86 საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტი. • საკონტეინერო ტერმინალი ქ. ფოთში ნავსადგურის ექსტენსიური განვითარების ზონაში, კონსტრუქციული პროექტი. • ქ. ბათუმში თაყაიშვილის ქ.№5/11 საცხოვრებელი სახლი, კონსტრუქციული პროექტი. • ქ. ბათუმი შუქურას მიმდებარედ პროექტი "ბათუმი რივიერა", კონსტრუქციული პროექტი. • ქ. რუსთავში "კაუკაზუს აუტოქაუზის" ავტობაზრობა, კონსტრუქციული პროექტი. • ქ. თბილისის მთავარი პროკურატურის შენობა, კონსტრუქციული პროექტი, ზედამხედველობა. • ქ. ბათუმში ტრამპ ტაურის გაყიდვების ოფისი, კონსტრუქციული პროექტი, ზედამხედველობა.
სამეცნიერო შრომები, სტატიები	• **„მრავარსართულიანი შენობის ახალი ტიპის კომბინირებული ჩონჩხედი"**, თეზისების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2008. • **"On Theoretical and experimental research of building structure made on the basis of glass and basalt",** First international conference on seismic safety problems of caucasus region population, cities an settlements, Tbilisi 2008. • **Исследование самонапряженных балок, армированных базальтопластиковой арматурой. Научно-технический журнал «Строительство» №2(17) 2010, Тбилиси 2010.**
კომპიუტერი:	**AutoCAD 2000 – 2013; LIRA Soft, MONOMAKH** **ArchiCAD 12-17; Photoshop 7.0** **Ms-Windows, MS Office 2003-2013, INTERNET**
ენები:	ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად, ინგლისური – კარგად, გერმანული – ცუდად.
ჰობი:	მუსიკა, სპორტი, კითხვა.